


კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და საპენიური ნახატებიანი გაზეთი. გამოსვლის ყოველ კვირა ღწმს.

№ 31.

ივლისი 24, 1894 წ.

№ 31.

შინაარსი: საყურადღებო ამბები.— მოგზაურობა შვეიცარიაში საზღვარ-გარეთელთა.— ნუ თუ? დე-ქი დუტე მგერელსა.— ბუგბ-ს მეცნიერებიდან ზღვს კატუნი.— მცირე ფიქრები ანაღგაზა ქართველთა.— ორიოდ, აგლო-ჭრატული ელემენტი საზარებაში.— ფიდაშკაღისა.— მიტოვებული სერათი ხალხის დროიდან იქ. გაბაშვილისა. კერძო განცხადებები.

ჯ ე ჯ ი ლ ი

მკათათვის ნომერი დაიბეჭდა და ამ დღეებში დაუბრუნდება ხელის მომწერლებს.

საყურადღებო ამბები

მ ახ. „კავკაზს“ პეტერბურგიდან მოუვიდა ტე-ლეგრამა, რომ მისი იმპერატორებითი დე-დებულების კარის ევერმეისტერი თ. კოს-ტაპტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი დამტკიცებულ იქნა თუილისი: გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამ-ძღოლად. იგი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება თავად-აზნაურობის შინდობილობით, სხვა-და-სხვა საქმეების მთაურობის წინაშე წარსადგენად.

* *

ქართული ჟურნალ „მოამბის“ გამომცემელს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლალობერიძეს გადაუცია

ზემონსენებული ჟურნალის გამომცემლობის უფლე-ბა აღექსანდრე გიორგის ძის ჯაბადარისთვის.

* *

შქოწარულობა: სხვა ხალხში ხშირია საქველ-მოქმედლოთ ფულის შემოწირვა, მეტადრე სომხობა-ში—ისე არ მოკედება ვინმე, რომ კეთილ-საქმის-თვის არ გამოიღოს თავისი წელილი. მიღიარი თუ ღარიბი ყველა თავის შესაფერად იძლევა შესწირავს, ამბობენ: მღვდლები აგონებენო ცოდელო მამაკედე-ებს თავიანთ მოკლეობასაო, ასეა თუ ისე, ჩვენ ქა-რთველობაში შეწირულობა ძალიან იშვიათია, რაც უნდა შეგნებული კაცი იყოს და უძეოდ მოკედეს თომდ მამულის სიყვარულსაც გაიძღვროდეს, მაინც სწორეთ სიკედილის წინეთ დავიწყებდა საქველ-მოქმედო სა-ქმეები და თუ ასში ერთი განიძახავს შეწირვას უთუოდ ან ანდერძი გამოადგება უხეიროდ დაწერი-ლი და ან სხვა რაიმე ხაფანგი გატყერება. გაზეთი „კავკაზი“ გვაუწყებს ახლა ერთ ფრიად სასამაიენო ამბავს, რომ ერთ ქერიეს ვაჭრის ცოლს, სახელდობრ მარიამ მიქელაძისს ანდერძით მიუცია მომავალ ქა-რთველოთა დედათა სკოლის სასარგებლოთ ასი თუმანი.

სათავად-აზნაურო სკოლისთვის 100 მ., ვარძიის მო-
ნასტრისთვის 100 მ. და სიღნაღის მასწრის, სოფ.
კაკაბეთის ეკლესიების გადასაკეთებლად 300 მ. თუ
მართალი გამოდგა ეს შეწირულობა, ფრიალ შესანი-
შნავი ამბავია და იმედს არ ეკარგავთ, სხვებშიაც გა-
მოაწვევს მიბაძვას.

* *

მომავალი დედათა სკოლის კომიტეტის თავ-
მჯდომარე კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-
ორბელიანისა უგულითადეს მადლობას უცხადებს,
როგორათაც ყარსის ქართველ საზოგადოებას, ისე
ბ-ნ ერეკლე მახარაძეს, რომელმაც გამოგზავნა ყარ-
სის ქართველობაში მოგროვილი 46 მ. 50 კ. სკო-
ლის თანხისთვის. ამ, შემოწმწირველთა სია:

მღვდელი ზაქარია ლევანიშვილი 3 მან., ალექ-
ქსანდრე ზალდასტანიშვილი 3 მან., ზაალ ჯანდიერი
2 მ., ერეკლე ბაქრაძე 2 მ., ლევან კახანაძე 3 მ.,
ეგნატე ფარანაშვილი 1 მ., გიორგი წითლიძე 3 მ.,
ელადიმერ იმერლიშვილი 1 მ., იროდიონ ხოსტა-
შვილი 50 კაბ., ესტატე ზალდასტანიშვილი 1 მ.,
დე. ქაიუმიძე 50 კ., ქვანოიჩი ალექსი 1 მ., პარ-
მენ სიმონის ძე მოწონიძე 50 კ., დიმიტრი მიქელა-
ძე 3 მ., ი. იგუზოვი 2 მ., ქურციკიძე 1 მ., დიმიტ-
რი კიკნაძე 5 მ., ნიკოლოზ შლენგოვსკი 3 მ.,
ერისთავი 2 მ., არჩილ ციციშვილი 1 მ., მიხეილ
დიმიტრის ძე კოკლაძე 5 მ., უცნობისაგან 2 მ.,
თეოდორე კარუკოვი 1 მან.

* *

ის სუთი თუმანი, რომელიც ამას წინეთ მიიღო
„ქაღალის“ ზედქვეამ კონსტანტინეპოლიდან სა-
ლიტერატურო ფონდისთვის, შემოწირული იყო შე-
მდეგი პირებისაგან: ალექსანდრე გარაყანიძისაგან 10
მ., შ. ა. 10 მან. სიმონ გუმბაძესაგან 5 მ. და ია-
სე რაჭველისაგან 25 მანეთი.

* *

ბათუმისან გეაუწყებენ: რომ იქ მისულა კონ-
ცერტების გასამართავად ბ-ნი რატილი თავის ხო-
როთი. პირველ კონცერტზე ხალხი ძალიან ცოტა
დასწრებია, მაგრამ სამაგიეროდ მეორეთ ხალხიც
ბლომათ მოსულა, საჩუქრებიც მიუღობიერეთ და
ბოლოს ვანშაძე გაუმართავთ, საზოგადოებას მე-
ტად მოწონებია ქართველო ხელი ხმაღს იკარ“
„ფაცხა“ და „ორთავ-თვალის სინათლე“.

ნავთის ქარხნებში მუშაობა დროებით შერე-

რებულა და აუზარებელი ხალხი ულუქმპაპუროთ
დაიარება.

ამ დღეებში „ნურიაში“ ქალაქის დარაჯმა და-
კრა რეკოლექტით რესტორანის პატრონი დეტუ
გვასალა. მიზეზი ის ყოფილა, რომ წესიერების
დამცველს ლენოა ბეგერი უსვამს და ფულის მაგი-
რად ტყვია უთავაზებია მელქისისთვის.

* *

სოფ. მეჯვრისხევიდან (გორის მახრა): ამ სოფ-
ლიდან სოფ. ფლაჟამდის იქნება ასე 6—7 ვერსი.
იმ თვის ვასულს გახლდით სოფ. ფლავში სა-
დაც იქაური დღეობა „ნათლის მცემლობა“ იყო.
აგრე რიგად კი არა, მაგრამ ახლანდელი საზოგადო-
შემწინეული ხასიათი და ელუვერი ამ დღეობასაც
ეცუბა. ოჯახებში კი სმა ჰქონდათ და დროს გა-
ტარება. ახლო-მახლო სოფლებიდან თქარა-თქურით
მოეშურებოდენ უფრო მომეტებული ნაწილი აზნაუ-
რშილები. იქაურების სახლები და ბაღები აივსენ
სტუმრებით. საღამომდის სოფელში დიდი ჭვიელ-ხი-
ვილი ისმოდა. გამჭრიახი თვალი არ იყო საქირი,
რომ ერთი შესხვდით შეგვემჩნიათ, საყდრის გარშე-
მო მდგომანი გულის სისწრაფით მიოღო-
დენ: როდის იქნება მღვდელმა მალე ვათავოს გაქა-
ნურებულე წირვალ და მასპინძლის სუფრას მოუხსნდეთო.
ძველად კი, თურმე შეენიგრად იცოდენ დღეობაში
წასელა, ხალხი სალოცავის კარს თავყვანა-ცემდენ
გულ-მხურვალედ ხატს. წირვას, ქადაგებას და პარა-
ლისის მოისმენდა, შემდეგ გამართავდენ ღონისა, თა-
მამზობას ანუ, ვარჯიშობას რასმე და მერე ადგილო-
ბრივი დღეინის უნახავის ნათესავები და მეგობრები,
მოზრძანდის კაცებით მიიწვევდენ სახლში. ახლა
ახლა ტაძარშიაც არ შეიხედდენ, ქუდიც რომ შეგ
შეუგდით. დაუბატებელი სტუმრები აიღებენ თვისა
და სხვა უცხოოსაც კარზე მოაგაყენებენ. ამხუა ნა-
თქამი: „სტუმარს სტუმარი ძულდა, მასპინძელს
ორთავენიო“.

შარშან აქ ამოარჩიეს ახალგაზდა მამასახლისი
რომლის წყალობითაც აქ ერთი წესიერება შემო-
დეს, ეს იმაში მდგომარეობს, რომ ნათლის-მცემლის
ეკლესიის კარმიდამოზე, სადაც სასაფლოა ამ სოფ-
ლისა, აღარ უშვებენ საქანელს და არ აუბატურე-
ბენ წარსულ მამა-პაპის საყანეს. ამ განკარგულებამ
გამოიწვია ზოგიერთა გიოომ მლოცველების მხრივ
ცოტა უსამიერება, როგორ შეიძლება დშლა,
ჩვენ ყოველთვის სულ ასე ცხენიან ურმებიათ სა-
ფლაგებზე გვილიაო, მაგრამ წესიერება დაცულ იქნა.

ამასთანავე ახალი ამორჩეული მამასახლისი დიდად თურმე წუხს, რომ აქეთ მხარეს, ამოდენა სოფლებში ერთი არც სკოლა და არც სამკითხველო. იმედია, რამე საშუალებას იღონებს და ამოდენა ბავშვებს სკოლას მიანიც გაუმართავს; ხალხსაც იმიტომ უხაროდა მცოდნე და გულ-შემატკეპარი მამასახლისი გვეყოლებოდა. მამასახლისის შეუძლია თხოვოს მღვდელს სკოლის ხელთმძღვანელობა, აუშენოს შენადგურის სახლი სკოლასაც და მღვდელსაც. რადგან ახლა მღვდელი თურმე ქირთი უყენიათ და ეკლესიის გარშემო კი კარგა დიდი და ფართო ალაგი არის; ამ ნაირად ამ სოფელში წერა-კითხვა მიანიც გავრცელდება. სოფელი მართალია დიდ ხარჯსა და ბასქს ეწვევა, მაგრამ თითო აბაზი კომოზე რომ აკისრებინოს სხვათა წოდებად ეფხმარება, მაშინ შეუძლებულებათ ხარჯი

დატვირთოს გლგოცაკობას. თუ კი იგივე გლგოცები წელიწადში უნდა იწოდებოდნენ და უფულოდ შევიდნენ შეძლებულს მემამულეებს, რომელიც სწორად უძახიან სასაღვთისა და წისქვილების ასაშენებლად, ან თავიანთ დიდ ზეგნებში საშუალო, რატომ თითონაც არ უნდა შეეწიონ ღირისს და ლატაკებს, ტიტულებსა და შიშვლებსა, განა შეეღო სესხი და ვალი არ არის? მაგრამ რა გაძიობს ჩვენს თვალს, შავი მიწის მეტი, ისევე და იმავე გაუნათლებლობის ბრალია ასეთი სკოლასაღმე უყურადღებობა, მეტადრე იქ, სადა ამოდენა შეგნებული თავად-აზნაურნი ყოფილან, როგორც სოფ. ფლავის მემამულენი. ყოველგან სკოლა ყოფილა კეთილი მომავლის წინამძღოლი. ამას უნდა ეცვიდნოდნენ თორე ხელებით, რადგან სკოლის მომხრე და მუყავრე ნამდვილი საშობოოს ერთგული შეილია! მხოლოდ სკოლა უნდა იყოს ჩვენებურ კალაპოტზე გამოკრილი.

აირი

მოგზაურობა შვეიცარიაში

IV *

წაბალახო ადგილები შვეიცარიაში, უმრავლეს შემთხვევაში, კერძო საკუთრებას შეადგენენ. ხუთ მილიონ ნახევარ ვარგისს მიწაში ორ-მილიონ-აქრზე მეტი საბალახოს წარმოადგენს. აქედან ცხადია, რა ალაგი უნდა ეჭიროს საქონლის მოშენებას ერის მეურნეობაში. შვეიცარიელი ამ დარგს ისე უტკერის, როგორც უმთავრეს წყაროს ცხოვრებისას. ამ პატარა ქვეყანაში, ძროხა, ხარი, ცხენი, ღორი, თხა და ცხვარი თითლებიან სამ მილიონ სულამდის. ამათი ღირებულება გამოანგარიშებულია ნახევარ მილიარდ ფრანკად. ამოდენა სიმდიდრის წელიწადში შემოაქვს (ხარჯ-გამოჰორიცხებულად) 27 მ მილიონი ფრანკი (გარდა ნაკვლისა). ამ რიცხვში პირველი ალაგი უჭირავს რძის ფულს, რომელიც შეადგენს 17 მ მილიონს. მეწველე საქონელი წელიწადში იწვევს ერთ მილიარდ-ნახევარ ლიტრა (ვერბუდის ბოთლია) რძეს. ნახევარი მილიონი რძით იხმარება. დანარჩენიდან აკეთებენ ყველს, ერბობს და სხ. 5,500 ყველის საკეთებელი შენობებია. 1886 წ. შვეიცარიიდან საზღვარ-გარეთ გაუტანიათ 178,020 ფუთი ყველი ღირებულები 2 მ მილიონ 130 ათას ფრანკად. ყოველ წელიწადს გა-

აქეთ 17,100 ფუთი ერბო. ამ სახით შვეიცარიის სოფლის მეურნეობას საბატო ალაგი უჭირავს საქვეყნო აღებ-მიცემობაში. აქ დამზადებული ერბო და ყველი მთელ ხმელეთს ეფინება. შენობებში ერთი და იმავე რძიდან ღებულობენ, პირველად ნაღებს, მეორედ კარაქს, ამას შემდეგ ყველს და ბოლოს ხაჭოს. ეს საქმე ისე აღორძინებული და განვითარებულია, რომ მკვიდრთა ეკონომიურ ბურჯად არის გადაქცეული. გამოაკალით ეს და ხალხი შიმშლით გაწყდება.

აი, სწორეთ აქედან წარმოადგება ის, რომ ბალახის მოყვანა-მოვლედ ასეთი დიდი ყურადღება მიქცეული. როგორ შეიძლება სხვის პირუტყვს ერთი ღერო ბალახი მოავლუჯიონ. არასდ არავითარი პირუტყვი ღვთის ანბარად არ არის გაშვებული, უთუოდ ან დამწყვედულია, ან მწყვესი ახლავს. გარდა ევენახისა და ალაგ-ალაგ ბოსტინისა არაფერი არ არის შემოაკავებულ-შემოღობილი. ყველაფერი გაშლილ მიდამოზეა. ნუ გეშინია ვინმე რამე არ მოგაბროს! აქ ყველაფერი გარედ ყრია, მაგრამ ქურდობის მაგალითიც იშვიათია. ეს კი არა, ფული რომ იპოვონ, მაშინვე გამოაცხადებენ. ხშირად შეხვდებით გახეთში: ეიპოვე ფული (ამდენი), ან საათი და სხ. პატრონი ზოგადეს და მიიღოსო. ამ მხრით ხალხის ზნეობა ძლიერ მაღლა დგას. ადგოლ-მამულეების გამო ჩხუბი და საჩივრები აქ სრულად გაუგებარია. ერთ სოფელს ეკითხვ: თქვენს სამსჯავროებში ხშირად შეაქვთ საჩივრები მამულეების შესახებ? ის ჩემ კითხვას ვერ მიხედა და მკითხვა: — არ ვიცო ან გვარი.

* „კვლევა“ № 22.

დაე რატომ უნდა მოხდეს? — აი, მაგ. თქვენ მიწა გაქვთ, მოადის მეორე და გეცლებუბა, ეს ჩემია და არა შენია — აუფსენი მე. ჩემმა მოსაუბრემ რალა-ნაირად შემომხედა, მგონი გაიფიქრა, ეს ხომ არ ვა-გიყებულაო და პასუხის მაგიერ მკითხა: თუ კაცი ხარ მითხარი რა ქვეყნიდან ხარო. მაშინ მიგხედი ამ გვარი საუბარი შევიცარიელისათვის გაუგებარი იყო. რა უწესოება შეიძლება იქ, სადაც ყველაფერი წეს-რიგშია მოყვანილი. მიწა ერთი საუკუნე მეტია, რაც გაუმიჯნეთ და განუსაზღვრათ, საშოვრად აღა-რაფერი დარჩენილა. ხერხი და გამოქნილობა ამათა; წარმოადგინეთ მათე მწერალიც და ექვლარას გაა-წყობს!..

შესანახად და სხ. მუშაობა გაჩალებულია. მუშაც მა-შინ ძეირად ფასობს. მუქთად არაინ მოგეხმარება, ამ ნაირი მეზობლობა არ იცინ, ფულს მიცემ ნა-ლდათ — გექირაფება, არა და ვერც მუშას იშოვი. არც მუშაობის გაცელა შეიძლება, მაგ. დღეს შენ მომე-ხმარე, ნვალ მე მოგეხმარებო. შეიძლება ერთი ნა-კლები მუშა, მეორე კი უფრო მარჯვე და გულ-მოადგინე, ამ შემთხვევაში ხომ წაავო ერთმა და ერ-თმაო — გეტყვის აქაური გლეხი. ეისაც იმდენი ბა-ლაბი აქვს, რომ მის შესანახად ოჯახის წევრი არ კმარა, ფულიც კი ექნება ქირის გამოსაღებად. ლა-რბი ხალხს ან სულ არ აქვს და თუ აქვს ისე ცოტა, რომ ჩქარა მიაღაც-მოაღაგებს და მეგრ სხვებს ექი-



უკიცარიელი სოფელი

ბალახის აღებ-მიცემობას რიგინი ალაგი უჭი-რავს მეურნეობის საქმეში. იშვიათია საქონლის პა-ტრონს საკუთარი საბალახო ჰქონდეს, ის უთუოთ ზაფხულობით ყიდულობს ბალახს და ინახავს საზა-მთრობთ, ან და იჯარით ლებულობს საბალახო ად-გილს მთებზე. ბალახი ძლიერ სუქანი და დაბა-ლია. თიბის დროს დიდ-ძალი მუშა ხალხია საქი-რა. ქალი, კაცი, ბავშვები მინდორზე გასეული, ზოგს ცელი უჭირავს, ზოგს ფოცბა, ზოგს მოაქვს

რეება. საქირად მიდის არა მარტო მამაკაცი, არა-მედ დედაცაც და მოზრდილი შეილებიც. 17—20 წლის ქალიშვილს, ცელი უჭირავს ხელში და ცის-მარად დღეს მინდორზე ტანტალებს, სალამოს მოი-კიდებს ვეებერთელა გოდორს ბარვი-ბარხანით და მოადის ბინაზე. ამისათვის ქალები ჯანრთელნი და ჯაფის ამტანი არიან. მთელ დღეს გარედ მუშაობს, სალამოს ბრუნდება დაქანცული და ეახშამს აკეთებს, სახლს წმენდს, ჭურჭელს რეცხს, შეილებს (თუ

ყავს) უელის, აწვეს, ხშირად ღამეც უნდა წამოხტეს მათთვის და სხ. მამაკაცს, ეს ოჯახის წერილმანი საქმეები, რაც ასე ღალავს ადამიანს, არ ეცხებეს.

ქალს, რომელიც არ მუშაობს, კულათ უტკეზიან, შეიძლება გაუთხოვარიც დარჩეს. გლეხისათვის საჭიროა მასვეთი მამაკაცი და შრომის მოყვარული ამხანაგი—მეუღლე. მართლაც აქაური ქალი ნამდვილ მეუღლეობას უწევს ქმარს, ქირას, ჭირს და ლსინში ერთად არიან, ერთად ატარებენ ცხოვრების უღელს. ერთმანეთს ეცრც ერთი ვერ დააყვდროს: მე გარჩნო, ორივე ერთმანეთს არჩენენ, ერთმანეთს ემხარებიან. ერთ ქალიშვილს, გვირავად შეძლებული გლეხი თხოულობდა. მან უარი უთხრა და უღარბეს გაყვა. რატომ ჰქენი ესო ჰკითხეს. რატომ და ეს ჩემსავით დარიბია, ერთად ვიმუშაებთ და იოლად წავალთ, პირველი კი დამიწებდა ყვედრებას; მე მდიდარი ვარ, მე გარჩენ, ჩემი მონა უნდა იყოვეო.—მიუკო პატარაღამა. როცა ახალგაზდა ბიჭები დაიწახვენ გასათხოვარ ქალს დიდ გოდორ ქვეშოთხად მოკეცილს, ერთმანეთს ეტყვიან: აი, ძმავე, თუ შეირთო ქალი ამისთანა უნდა შეირთოვეო. ასეთია გლეხის შესებდულობა დედა-კაცზე და ცოლქმობაზე.

ფუთი უბრალო ბალახი იყიდება 3—5 თრანკად. ზამთრისობით უფროა დაძვირდება.

ჩამოვიცვალათ ახლა ქვემოთ, მთის კალთები-საკენ. აქ თანდათან კლებულობს საბალახო და ბოლოს, მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით. მისი ადგილი ევენახს აქვს დაჭერილი. ყურძენი ძლიერ მაღალზე არ ხეირობს სიცივის გამო. არც დაბალზე დგება რიგინი, ნიადავი ხელს არ უწყობს. ამისათვის ევენახს შუა ალაგი დაუტყვირა: ფერადები, მაღლობები, კალთები. ევენახი უთუოდ ქვის კედელთ არის შემოზღუდული. კედელი ალაგ-ალაგ მაღალა, საზაკადოდა კი დაბალი, ასე რომ გზადან შეგვიძლიათ, ხელი ვადყაოთ და მტყენანი დაკრიგოთ. პირველად ძალიან გამიკვირდა, არაფერი შემოღობილი არ არის და ევენახმა რაღა დაშავა-მეთქი. მაგრამ ცოტას თუ დააკვირდებით, ადვილად გაიგებთ მიზეზს. საქმე იმაშია, რომ წლის განმავლობაში ნიადავი წვიმის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო დაბლა მიიწვეს, ასე რომ გაზაფხულზე ვაზს ყველას გამოჩენილი აქვს ძირი. რასაკვირველია კედელი რომ არ იყოს გავლებული სახლვარზე ეს საჭირო მიწა სადღაც ხრამში გადღილებოდა და ვაზიც გახმებოდა. ზღუდე არ უშვებს და მის გაყოლებაზე გროვდება. გლეშ-კაცი გაზაფხულზე ჩევა ევენახში და ქვეით ჩამოტანილი

მიწა ზევით მიაქვს და ვაზის ძირს აყრის. ყოველ წელიწადს ეს აქვს სამუშაო. ეს სწორედ სიზოფის შრომას მოგავგონებს. ერთ წელიწადს მაღლა აიტანს ნიადავს, მეორე წელიწადს ისევე ქვეით ჩამოსულა, კიდევ მაღლა ეწიღება, კიდევ დაბლა ცვივა, ერთი სიტყვით დასასრული აღარ აქვს. რა ჰქნას, მტერი რა გზა არის, თავს რომ ვერ დაანებებს. მეორე მხრით, მთიდან ხშირად ნიადავი განმეორებდა, კედელი რომ არ დახვდეს, სულ წალეკავს ევენახს; წყალი ერთ კალაპოტში გროვდება და გადადის ხეში. ნიადავი ფხვიერი, მშრალი და ქვიანია. ევენახი დაბლარია, მაღლარი არ მინახავს და როგორც მითხრეს არც მოიპოვება. ვაზის სიმაღლე საზოგადოდ, ერთ არშინზე ცოტა მეტია და ისხამს 5—7 მტყენას. იშვიათად ნახავთ შავი ყურძნის ვაზს, ყველგან თეთრი. აღმოსავლეთ შვეიცარიაში კი თეთრი ყურძენი ნაკლებია, აყენებენ წითელ ლეინოს. ყურძნის მარცვლი წვეტი და მაგარია, საქმელად გემრიელია, შაქარი ბევრი ახლავს, ჰალკოალი ცოტა, ამისთვის ლეინო რბილი, მზატეა. წმინდა, ბუნებრივ ლეინოს ბევრს დაღვეთ, ძალა არა აქვს, ყავა-ხანტეში ღლეზე უფრო ლეინოს სმენ გლეხებზე; მფერადი კაცი აქ თუმცა იშვიათი სანახავია, მაგრამ ლეინით დამთვარი კი არასოდეს არ მინახავს, უთუოთ არაკით, ერთი სიტყვით აქაური თეთრი ლეინო დამიხს ადვილად ვერ ერევა. ჩვენებური, ამ ლეინოს პირველად ახლოდაც ვერ მიეკარება, რაღაცნაირი სუნი და ევმო ახლავს, ასე ჰგონია დამწვარი ქერქი ჩაუყრითა შიგო. გლეხი ხომ უღენით ვერ დადგება,—ლეინოს გემო კი ჰქონდას და თუ გინდა ნახევარი წყალი იყოს—გეტყვის აქაური გლეხი. რასაკვირველია, ევენახი ყველას არ აქვს, მხოლოდ რთველის დროს ყიდულობენ ყურძენს და ლეინოს აყენებენ. ხელ-მოკლე გლეხს ესეც არ შეუძლია, რადგანაც ყურძენი ერთობ ძვირია, გირვანქა 15—20 სანტიმი. ქალაქშიაც ესევე იყიდება. პატარა ევენახს პატაროს ხელს არ აძლევს თავისი ნაშრომი ლეინოთ გაყიდოს, საწინახელი და მისი მოწყობილობა, ჭურჭელი, შრომა და სხ. ყველა ეს ფულია და, აბა, ღირს ამოდენი დავიდარაბის აკიდვა ცოტა ყურძნისათვის? ის ყოველთვის მ. აკრეფის დროს ადგილობრივ ასაღებს იმ მანქანაზე, რაც საზოგადოდ არსებობს. სამაგიეროთ ყიდულობს „შუა-ლეინოს“ ან ერთხელ გამოწყოულ ქაჯას და თავის გემოზე აკეთებს. ყურძნის მყიდველი უმთავრესად ლეინის ზავოვდება. ის კი უნდა ითქვას, რომ უმრავლესობას ევენახი არ აქვს, თუმცა ვაზის ხელობა ყველამ კარვად იცის, სხვის ევენახში მოუშობს ქირაზე.

მთელ შვეიცარიაში 87714 აკრი ეწახია; ზოგ კანტონში დიდი ალავი უჭირავს, ზოგში ცოტა. არის იმისთანაც, სადაც სრულიად არ მოიპოვება ვაზი (მაგ. უნტერვალდენი და ავენუელი). მევენახის უმთავრესი მიზანია ცოტა მიწაზე ბევრი მოსავალი მიიღოს. ამისათვის არაერთიარ შრომას და ხარჯს არ ერიდება. ვაზი ახლო-მანოლა დარგული და არაერთი ბაღისი არ ახლავს. მუშებს მუდამ თოხი უჭირავს და როგორც კი სადმე ბაღისი ამოყოფს თავს, მაშინვე უსპობს სიცოცხლეს. ამისთანავე თვითუღელ ძირ ვაზს უტრიალებს, „დანა-წალდით“ და მაკრატლით, მეტ ფოთოლს ართმევს, წვეტს კრის და ამოკლებს. ხე ან სხვა რაიმე მცენარე ევენახში არ შეიძლება. ერთ მუშეში ხეც ვაზს ეკითხე, რატომ ერთი საჩრდლოლობებზე გეცარს თქვენი ევენახში—მეთქი.—ამის მიზეზი ცხადია, ერთი ძირი ხე, რომ სინოყიერეს გამოწურავს დედა-მიწას, ის, შეიღ-რვა ვაზს ეყოფაო, მიპასუხა მან. ის თავის მოქმედებაში იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ ნიადაგის პოხიერება ტყუილუბრალოდ არ დაიკარგოს, შოლოდ ევენახი კვებოს, ამ გვარი მცვლანდობა რიგინად გვირგვინდება. ხშირად გამოიჩინა, თითო აკრი ევენახში ხანდახან 12 ათას ბოთლ წმინდა ლენოს ვაყენებთო. შოლოდ რევიკალური წყაროები თითო აკრზე 2,000 ბოთლ წმინდა ლენოს ანგარიშობენ. მაშასადამე შვეიცარიაში წელიწადში დგება 175 მილიონი და 428 ათასი. ბოთლი ლენო. ეს არ ყოფნის შვეიცარიას, რის გამო უტყობითიდან ყოველ წელს მოაქვთ 62 მილიონი ბოთლი. ამ ლენის მომხმარებელი განსაკუთრებით უსებოელია (300 ათასი), რომელნიც ადგილობრივ ლენოს ვერ ეწყობიან.

ვენახში მომუშავე არასოდეს დედაცაი არ მიწახავს, შოლოდ რთველზე ეხმარებიან მამა-კაცებს. არც ნასწავლი აკრონომი შემხვედრია. მევენახეები სოფლოვლებია, რომელთაც ისე აქვთ შესწავლილი ეს ხელობა გამოცდილებით, როგორც თიბვა, თუ პურის თესვა. ნასწავლი მელინეები ჰყავთ მარანში, სადაც ათი-ათას ბოთლითი კეთდება დიგზანება გასასყიდათ. წერილი მესაკუთრესათვის ამ გვარი ზეოდი წარმოადგენს საუკეთესო ბაზარს; აქ ასაღებენ არა თუ ყურძენს, არამედ ლენოსაც და შემდეგ გადაკეთებულ-გადახლისიებული გადაღის საზოგადოებაში. მარნები აქვს გამართული შემდეგებულ მემამულეს, ან ეაჭარ-კაბიტლისტებს; უკანასკნელს შეიძლება ერთი ძირი ვაზიც არ მოეპოვებოდეს. კარგად უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება: გასაყიდი საქონლის ფასი ემორჩილება, როგორც ქალაქში ისე შორეულ სოფელში, საზოგადო მასხანდის აწე-დაწევის

არა შემთხვევაში ჩართა ოინებს და გაუმძღვრობას. აქ არჩობა არ არსებობს, არიან შოლოდ წერილი და სხვილ-ფხვა ეაჭარნი. ესენი ვლენებისაგან პირდაპირ ყრდულობენ თანახმად მანადისა და შემდეგ ყიდიან. მოგება ისეთი რჩება, როგორც მაგალითად წიენის მალაზიას, ცალ წიენში არას დააკლებენ, ასში კი ბევრს, მეურნე როცა ბლომად ასაღებს, მაშინ მანადზე ცოტას აკლებს. აი, ეს განსხვავება დაკლებულის და ნამდვილის ფასისა რჩება ეაჭარს. ერთი ბოთლი ლენო ქალაქის უპირველეს სასტუმროში და სოფლის მარანში ერთ და იმავე ფასად ღირს. თუ ეაჭარმა ნაყიდი წმინდა ლენო გადაკეთა ფასიც იწვეს თანახმად ამ ზედ-მეტი ხარჯისა. მეურნეობის ყველა ნაწარმოები ყიდე-გაყიდვამი ამ საერთო წესს ემორჩილება. კიდევ ეიმეორებ, ოინებთ ფულის შექმნა და თავის რჩენა შემოღობელია, ცხოვრების პირობები ნამეტანი განასწავტულოია, რაც უნდა იტრიალო, ამას ფებს ვერ გადააბიჯებ.

როცა ყურძენი ძალიან დამწიფდება, მოკრეფენ და ჩალოვებენ საწინებელში, რომლის ფორმა ჩვენსას წაავს, შოლოდ ერთ მოხერხებულ ადგილს „კრანტი“ აქვს გაკეთებული. თავში იწინება და ბოლოში დაწმინდელი გამოდის. ამას პირველ ლენოს უწოდებენ. შემდეგ ჰაჰას დაასხმენ წყალს და დახურულს ორ-სამ დღეს დატოვებენ დასადუღებლად. მესამე დღეს ხელახლათვე დაწმინენ, ჰაჰაზე ფიცარს დააფარებენ და ზევიდან დაუქრენ მანქანას („პრესი“), უკანასკნელი წვეთი წვენიც კი ეცლება და ბოლოს რჩება გამოფრული ჰაჰა, რომლიდანაც არაყს ხდია. ჩასაკიერელია, ყველა მევენახე არაყს არ ხდის, ჰაჰას ყიდულობს ამის განსაკუთრებით მოხებულ (არაყის ზეოდი). მეორეხელ გამოყვანილ ლენოს ადვილად ვერ შეატყობთ წყალნარობას; იყიდება უწყლოს სახელით, თუმცა გაცილებით უფრო იაფად. უმრავლეს შემთხვევაში ამ ლენის კეთებენ, ჰლოკოგოლის უმატებენ და ისე ასაღებენ. ა უწყლო იყიდება 50—70 სანტიმად ბოთლი, წყალნარევი 40—50 სანტიმად. საუკეთესო ლენოა დგება ელისში და ძვირიც არის.

ყველა კანტონს ჰყავს დაქირავებული აკრონომინსპექტორები, რომელთა დინიშნულება ევენახის დათვალიერება და ავთომყოფობის აღმოჩენა-წამოღებაა. ისინი წელიწადში ორხელ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე მოგზაურობენ სოფლებში. აქაც ვაზის მტერი ფილოქსერა ყოვლია. უპირველესი საშუალება ფილოქსერის წინააღმდეგ დასენიანებული ადგილის განსაღმკვებაა, ისე რომ საღ ევენახს არ მოეღოს, ამისათვის ყოველ ღონისძიებას ხმარობენ.

აქ საზოგადოდ იმ ჰაზრისანი არიან, რომ ფილოქსენით დაეათმუოდებული ეაზის გამობრუნება შეუძლებელია, შოლოდ მოსახერხებელია ისე მოელა, რომ ეს სენი სხვას არ გაუჩნდეს (მიგინა). ხშირად ვენახი ფილოქსერას გაუფუჭებია, მოსაზღვრე კი უფრო ზოლად ვადარჩენილა. ერთი სიტყვით ფილოქსერას აქრობენ იქ, სადაც ვაზნად და უსპობენ სხსარს ვაერცვლებსას. ამ რამდენიმე წლის წინად ფილოქსერისანი ვენახი მთავრობის განკარგულებით ირჩებოდა. ამან გამოიწვია უკმაყოფილება და ზოგან წინააღმდეგობაც. ახლა ასე აღარ იქცევიან, პატრონის ნებაყოფლობაზეა მიშვებული; თუ აუცილებლად საჭიროა რომელიმე ვენახის ახევა პატრონს აძლევენ კარგ სასყიდლოს და ურიგებენ ამერიკის ვაზს*).

*) შარშან იტალიის ერთს მხრისა — Suna — დიდა არეულაან მოახდინეს გლეხებმა ფილოქსერის და-

ახლა შეეცარიაში ძლიერ ვრცელდება ამერიკის ვაზი. ვასულ წელს ჟენევის სამეურნეო საზოგადოებაში დიდა ლაპარაკი იყო ამის შესახებ. წარმოდგენილ ცნობებმა ნათლად დაამტკიცეს ამ ვაზის საუცხოველი ღირსება. მაშინ აირჩიეს ვანსაკუთრებითი კომისია ადგილობრივ დასათვლიერებლად, რომელმაც იგივე აზრი დასკენა. სადაც კი გაუშვნიებით ამერიკის ვაზი ყველგან უხეირია და მოულოდნელი ნაყოფი მოუტანიაო — ამბობს კომისია თავის მოხსენებაში.

საზღვარ-გარეოელი

სის წინააღმდეგ, რომელსაც კინახები უნდა აჩეხა. ვაზის და თოფის წყალობით მთავრობის განკარგულება მისინსისრულეში იქნა მოყვანილი! სქეთი ამავეი დატრიალდა მთელს იტალიაში. ყველგან საფილოქსერო დასს შეარაღებული ვაზი ახლდა.

ავტ.

ნ თ თ თ

ნ თუ შენშიდაც მოეტყუედი, ნუ თუ შენც სხვების მზავისი ხარ, ნუ თუ შენც იგივე ბოროტი, ფილიდი, მაცდური ქალი ხარ? ნუ თუ შენც მიზნად ცხოვრების მარტოკა ის დაგისახავს, რომ თაყვანს გცემდეს, გეტრფოდეს, ვინც კი როდისმე გინახავს

და ის რომელიც ყველაზე უფრო მოგივა სახეში, მოჰხიბლო, მოაჯადოეო და გააბა შენს მახეში? ნუ თუ შენშიდაც მოეტყუედი, ნუ თუ შენც სხვების მზავისი ხარ, ნუ თუ შენც იგივე ბოროტი, ფილიდი, მაცდური ქალი ხარ?..

დუტე შერვალი

ბუნების მეცნიერებიდან

ზღვის კატუნა

ზღვაში მოსიარულებს არც ერთი ზღვის ცხოველი ისე არ ეჯავრებათ როგორც ზღვის კატუნი და ამის მიზეზი აქეთ კიდევ: არც ერთი ზღვის ცხოველი არ არი ისეთა საშიში, გაუმიძღარი, მტაცებელი, როგორც ეს. სხვა რომ არა იყოსრა, სანახავდაც საშიშია: საშეული ღილია — სიგრძე ოთხი საყენი ექნება, უშ-


ველებელი ყვები აქეს — ექვს რიგათ ჩამწყვიტებული ბასრი კბილებით და რაც უნდა ახალგაზდა იყოს, თუნდ სიგრძე ერთი საყენის მეტი არა ჰქონდეს, მაინც კულის დარტყმით შეუძლია კაცს ფეხები მოამტერიოს.

ზღვის კატუნი ხასიათით ძალიან გაიძვერა, მარჯვეა, არც წინ-დახედულობა აკლია და არც შორს მხედველობა, როგორც ზოგსა ჰგონიათ. იმითი უფროსაშიშია ეს ზღვის კატუნი (ზოგი ნათელი-თევზას ეძახის ამ ცხოველს). რომ მწელად ვასაძლომია, ეს იმიტომ უფრო, რომ ამ ღილ ცხოველს შესაფერად პატარა წილები აქეს, და ეს წილები ისე ბევრს

ვერ იხედებენ. ამის გამო მუცელი ყოველთვის ცარიელი აქვს, და რაც მოხვდება ყველაფერს შიგ იყრის. ერთხელ ერთხელის კატუნს მუცელში უპოვეს ლორი, ცხერის ძელები, ნახევარი ლორი, ძაღლის თავი და წინა ფეხები, ცხენის ხორცი და ბევრი სხვა რამეები.

სიმშობილი შეუპოვრად ხდის და ათამამებს ზღვის კატუნს. ადამიანები-სასულ არ ეშინია, პირიქით ვაი იმისი ბრალი, ვისაც თვალს მოჰკრავს ან ბანაობის დროს, და ან დახრიობის დროს, სასწაული

მიზეზით იღუპება, ეს ზღვის კატუნები მსწრაფლად განდებიან, გემს გარს შემოგხვევიან და პირ-დაპირქ ნილი ელიან თავიანთ მსხვერპლს. კატუნები მუდმილი დღეობით მოთმინებით ელიან იმ პირთ, რომელნიც გემის დაღუპვის შემდეგ მოექიდებიან გემის ანძას, რომ რა არის, თავს უშველონ, როგორც ამ ნაბატზე ნახევენები—და ბოლოს ღონე მიხილნი ჩაყვიან ზღვაში თუ არა, ხდებიან ამ საშინელ ცხოველების მსხვერპლთ, ყველა ზღვებში აქეთ ბინა ამ საშიშ ცხოველებს, მეტადრე ის ადგილები უყვართ, საცა ხა-



ზღვის კატუნი უთავლოვადებს თის უსხვერპლს

თუ გადაარჩენს კაცს ამისგან. არც ზარბაზნების სროლა აშინებს ამ ცხოველს. ერთხელ ზოგაზე ომის დროს ზარბაზნების ხმაურობით თითქოს ზღვალამობდა გახეთქას და ეს ზღვის ცხოველი დამშვიდებულად დატურაედა ზოგაზე და უთვალთვალედა გემის უბედურ მოსამსახურეებს, რომელნიც დაკადილნი გემიდან ცვიოდენ ზღვაში. ზოგაზე თუ რამე უბედურება მოხდება, მაშინ ამ ავ-მუცელასთვის დღესასწაულია, განრდება თუ არა გემზე ციებ-ცხელება, რომელიც უთვალთვალე ხალხს ხოცავს, ან გემი რამე

ღონი ბოლომდე ცხოვრობს, გემების მისელა-მოსვლაში რია. ბევრს გემზე მოსამსახურე კაცებს უყვართ ამ ცხოველზე ნადირობა, ვადისერია ჩკინის ჩანგალს საქმელით და ამით იტყუებენ. ზოგი კი კაი უშიშარი მოკურაენი ბასრი დანით პირდაპირ ზღვაში ჩადიან მათზე, და იცან კიდევ ხერხი, რადგან ზღვის კატუნები მუცელს ზემოთ მოაქცევენ და ზურგს ქევიან. ისე აქეთ ყებენ მოწყობილი, რომ მათი მსხვერპლი მათზე ზემოთ უნდა იყოს; იმითაც ესენი ქევიან მიეპარებიან და უეცრად დანით მუცელს გაუპოვენ.

მცირე ფიქრები

II *)

ფათეაღანაწაურო ბანკის კრება... არჩევნები... დასთა ბრძოლა... პარტიობა... აი, რა გაისმოდა და დღემდისაც გაისმის ტუილისში.

ამას გაიძახის გულ-უხვი დარბაისელი ქართველი, ამას იმეორებს ვაბერილი მოქალაქე, ამას კიკუკუბენ ტურქო მანდილოსნები და ასე გასიჯეთ ბევრებიც კი.

ხალხი მომდინარებს, ხალხი მოეშურება ტფილისისკენ; დაძრულა ალაზნის და იფრის ქალბობდანი ღიჯი კახელი, დაუგლია თავის ძვირფასი ზურები და მოეშორება კრებაზე. კახელს დაღვენება უნდა

*) სსკა-და-სსკა მარჯულების გამო ამ წინაღობის დაპყრობა დაკვიანდა.



ვაცხარებით მტკერის და არაგვის ნაპირებიდან პუ-
რადი ქართლელი. მოგწუდება ხალხი ყოველ კუ-
თხიდან, მოიქარის ტფილისისკენ ცხენით, ურმით,
ფენით, ტივით, მატარებლით... მოისწრაფვიან აქ
იმერეთის ქართველნიც კი ფაზის და ლიპუსის ნაპი-
რებიდან, რათა იხილონ და განიცადონ, თუ რომელ-
ლი თავზედ ვაგბადეს და შეებრძვის ბანკის ბურჯს
კახელ გოლიათს.

ეს საგულისხმო საზარუნე იზიდავს აგრეთვე
მანდილოსანთა თვლებს. კეკლუცი ქალწულნი კოლ-
ხიდისა და ივერიისნი შეყრილან ტფილისის და გულის
ფანქვალთ მოელიან ამ დიდებულ ჟამს. მაგრამ...
მაგრამ ქალწულთა გულის ფანქვალის მიზეზი ყო-
ველა თურმე კიდევ სხვა რამე; ვითომც... ვითომც
ჭყუთი სკადან ძლიერება თავის შეგნებისა და ხელო-
ვნებით ნასროლი ბადით გაბან ლოქა...

ღმერთო შეგკადე, ეს რა წამცა! არა, ბატო-
ნო, მე ახლავე უარს ვაცხადებ; მე არ ვდებ ამ სა-
სტუკ ბრალს თამარისა და ნესტანის შთამოგებას. მა-
გრამ, ხომ მოგეხსენებათ, ავი ყბა, ჭოროხანი ადამიანი,
აი, ვინ დაჰყარა ეს ხმები. მე კი არ მჯერა, არ
მრწამს-მეთქი: მაგრამ თუ მართალია... რა, თუ მარ-
თალია? არა, არ ვიტყვი... ოჰ, თუ მართალია,

გულით ვისურვებ მათ გამარჯვებას,
და ღმერთს შეეტირებ მსურველ კრემლით,
რომ თითო ლოქა ყველას გაეხას...

ხალხი კი ისევ მოისწრაფის ტფილისში; იცემა
სასტუმროები ქაბთის გზაზე; იცემა პუშკინის ბლი
მიხაილოვის ქუჩაზე. აი, შეხედენ ერთმანეთს ორი
ძველი დიდხნის უნახავი მოყვარე. ქართლელი და
კახელი: დაბალ სალამა და მოკითხვას შემდეგ,
ძმურად მოხვედის ერთმანეთს ხელი და რქა-წითლის
და საფერავის მალხინებელი წუნის ზედ-გაელენით გა-
უხსნეს ერთმანეთს გული, მოიგონეს ტბილი და
მწარე წარსული, აწყო და ანთხეს სიხარულ-მწუ-
ხარების ცრემლები. აი, გაისმა უეცრივ დიდებული
მზაჯალ-ჟამიერა და ამ ორი მეგობრის სული მოიცვა,
შეივართა ამ მიზნულამ ხმებმა. ღზინი გაგრძელდა:
გაგრძელდა ქართული ქეთვი... მაგრამ შეწყდა, და-
დუმდა ეს სუფრული დიდი ჰიმი, დაცხრა მეგობა-
რთა აღმრული გული; მათი ბრწყინვალე სანე მო-
იქუშა, გადავიწინა შავი ღრუბელი. რალა ედუმალ-
მა ფიქრებმა მოაღწეს მათი განიერი შუბლი; გან-
შორდენ ერთმანეთს და მღელვარე სულით მოელიან
რალას.

აი, დაქრა საბედისწირო ჟამმა; გათენდა თორ-
მეტი მისი. ბანკის თეატრი ვაჩადა ელექტრონით:
პარტერი მოიცა ხმაონებმა, სცენაზე წამოსკუპდენ
ბანკის მართველობა თავის სრული შტატი და პრე-

სის წარმომადგენელი; ლოკები აყავდა ათას ფერად
მანდილოსნებით და მეტადრე ქართლ-კახეთ-იმერეთის
შენიერი ქალწულებითა, რომელთა —

ემხით აღსაესე მომხიბლელი შავი თვალები
ისერიან ისართ. . და იჭრება ყმაწული კაცთ გული;
იმ უნებლიეთ ტყარცნილ ისრებს ზედ ცხებს მა-
ლაშის,

იგი მალამო წყლულთ მკურნალი არს სიყვირული...
პარტერი იცემა ხალხით; ხალხი ხმურობს, ხა-
ლხი მღელვარებს. გაისმა თემჯდომარეს ზარის წერი-
ალი და ჩამოვარდა საოცარი დუმილი. წამოდგენ
ენა-მკვერი ორატორნი და ატედა ქვეპაქუხილი. გა-
იმართა სასტიკი ბრძოლა, ბრძოლა უსისხლო, სიტ-
ყვიერი და უმეტველი. ამოღრა, აქაფდა ენებანი და
გულის თქმანი...

აი, თუ მაკათა იმერლებით იძრონ ხმლები,
დაერიონ ერთმანეთს და შექნან ჩახა-ჩუხი, ეცი წა-
მოიძახებ შენ უსათუთო. მაგრამ არა, მეგობარო,
ქართლ-კახეთი ჩვენსავით ფხიკიანი როდია. ამთ ჩე-
ნსავით სწრაფად არ მოუვათ გული: ამთ აქეთ და-
რბანისლური სიმწიდე და მოთმინება. ყველა ამა-
ზში ჩემი თვალთვე დავრწმუნდი, რადგან ყოველ
დღე ვესწრებოდი ბანკის კრებას და გულმოდგინეთ
ვისმენდი მათ მსჯელობას. მართლაც საოცარი შთა-
ბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ კრებამ, მეტადრე პირ-
ველ დღეებში. მე ეუმზერდი მას, ეუმზერდი და არ
მჯეროდა თუ ამ დროს ემოყვებოდი ტილისში
ბანკის კრებაზე და მესმოდა ქართულ ორატორთა
მსჯელობა და საუბარი. მე ეუმზერდი საზოგადოების
საოცარ დისკალინას, იდეალურ სიმუმეს, ორატო-
რთა საზრიანს, საბუთიანს, დალაგებით მსჯელობას,
მათ მეკრემტყველობას. მათ სიტყვის უფლების გა-
მოთხოვნას თემჯდომარისაკან და იმ გვირად აზრის
განმარტებას, მათ გაჭუმებას თემჯდომარის ბრძანე-
ბისამებრ. დიად, მე ეუმზერ ამთ. ამ დროს გამიტარე
ბოდა უეცრივ ოცნება. ვადამაფერნდა რომელსამე უს-
ხოეთ, განათლებულ ერთა შორის, ან პარიყის დე-
პუტატთა პალატაში, ან ლონდონის პარლამენტში,
სადაც ებრძვიან ერთმანეთს სხვა-დ-სხვა მიმართუ-
ლების პარტები. და ამ ჩემ ილიოზიას ამთავრებ
მეგობაბოულად ჩაცმულნი მრავალი მანდილოსანი, მე-
მაკაცნი და პარტული ქიშპობა და შეჯახება. მე-
რამ ქართული სიტყვიერება, ჩენი მშობლიური
სიტყვიერება, რომელიც დიდად ეთ მაკოცლებელი
წყარო, ჩენ ქებულ ორატორთა, ილ. ქვეპაქის და
ი. მაზაბლის ენადან, მახვიზღებდა, მაშორებდა ამ
ბურხანს და მახედებდა სინამდილეს, რის გამო ჩემს
აღტაცებას არა ჰქონდა საზღვარი.

მართლაც ჩემ წინ იშლებოდა ერცელი და-

ბაზი, საიდანაც ჩანდა ერთი მხრით სამხედრო „მე-
ნდირებში“ გამოწყობილი, მეორე მხრით კი ყუთ-
მაჯებიან კაბაში და ევრცხლის ქაშარ-ხანჯალში გა-
მოწყობილი, მოხდენილი თავდაზნაურთა, რომლის
კეთილ-შობილურ, სანდომიან სახეს ამკობდა ან
პატრისაცემი ქილარა, ან პატრიაჩქელი თეთრი წვერ-
ულუაში, და ამ რიგათ ეს კრება ახდენდა სრულ
კონტრასტს ქუთაისის ბანკის კრებასთან, სადაც თით-
ქმის მთელი დარბაზი იყვებოდა მხოლოდ უმცარ
მოქიფე, ჩოხა-ლეკურ-ხანჯლიან ახალგაზდა-
ბით, რომელთაც ყივინის და ჩხუბის მეტი არა შე-
უძლიათ რა და რომელნიც შეგვიძლია ვაიხადო დამ-
ჯერე იზრად, თუ კი დაათვრე ღვინით და გამოა-
ძლე ზუთხით და ძროხის ბეჭით.

მე შეეცქეოდი, შევეტრუდი ამ ტფილისის
ბანკის კრებას, მის შეგნებულ მოქმედებას, მის ჭკუა
დამჯდარ მსჯელობას; შევეტრუდი-მეთქი და გული
მეცებოდა რაღაც სინარულით, რაღაც იმედით; ჩემი
განება მოიცეა რაღაც აზრმა, იმ აზრმა, რომ ქართველ
ერის სული ყოველად ისე უწინდურად ძლიერი,
რომ ქართველ ერს შეძლებია თავის პატრონობა,
საერთო საქმეების მართვა, რომ მტკიცე ხასიათი,
გამჭირაბი ჭკუა-გონება, მაღალი ზნეობა, ეს დიდი
კულტურის შედეგი, მიუყრებულო და მისუსტებუ-
ლი თითქმის დღემდე მრავალ მაყენ სიტორიულ
მოკლენათა გამო, კვლავ იღვიძებს, კვლავ ძლიერ-
დება. ქართველის სულში იღვიძებს ამ მრავალ ტან-
ჯულ, მაგრამ უღლებელ პაწაწა ერში, რათა ამკ-
ნის ქვეყანას, რომ როგორც წინეთ შეძლებია მას ეომ-
ნა სამი ათას წელს ურიცხვ მტერთა წინაშე და გა-
მოსულიყო ამ სასტიკ ბრძოლაში ეს საოცარი გმი-
რი უწინებელი, მკერელი იმ დიდებულ დროშისა,
ჩასაც ამკობდა ეს სამი სიტყვა: კრავუნაჟა, თაქსიფო-
ჯაჟა და საწმუნაჟა; როგორც მას შეძლებია იმ
მოუსვენარ, მღელვარე დროს თავის სულის განვი-
თარება და მდიდარი ლიტერატურის დაარსება, ევ-

რით შეუძლია ამ ქართველ ერს დღესაც ვაშლოს თავის
პოტენციალური ძალი, მოიყვანოს ევროპის ცივი-
ლიზაცია, მიცეს მას ნაკიერი მსაზრდოებელი წვენი
ზარდოს იგი და მოასხმევიოს ძვირფასი ნაყოფი.
და რომ ეს შეუძლია ქართველ ერს, მე დამარწმუ-
ნა სხვათა შორის ამ ბანკის კრებამ.

ღიღ, მე ვუცქერი ამ კრებას, ვუმხერ თუ რა
გულ-დასმით უსმენს მთიული თავის მომე ბარელს,
რა რიგ თანხმობით წვეტენ ცხენი საქმეებს; ვმხერ
ამებს და თავში მებადება ის აზრი, თუ რა დიდი
მნიშვნელობა აქვს ამ გვარ კრებებს ერის სულის
აღზდა-განვითარებაზე. ემხერ ამ კრებას და შიგ ეამ-
ჩნეე ოდნე შეცვლილ იმ ნეტარ დროის ქართველ
ტაბებს, რომელნიც იკრიბებოდენ სარჩევად, თუ რა
რიგ დაიცვან დაღუპიდან თავის სამშობლო.


მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებ, მეგობარო,
რომ ეს კრება არა, ჯერ მწიფე, დედაკაცებული;
მასში დის ისევე ჭებუკის მგზნებარე სისხლი და ამის
გამო ნუ იუცხობ, თუ გეტყვი, რომ ამ კრებაშიაც
არა იმეათად იფეთქს ხოლმე ენება-სურვილის ყუმ-
ბარა, ან ქაფდება ერთმანეთზე დაჯახებული გულის
თქმათა მღელვარე ზვირთები. შფოთიენ, ღელაენ
ი. მაჩაბლის და ილ. ჰაუკუაძის გულნი და ამ მღე-
ლვარებას მაღალ ბანს ცემს მათი პარტიების მძეი-
ნეარე აზვითება, რის გამო ამ პარტიების მოთაე-
ნი და წარმომადგენელი ხან ისე მხნედ კვეენ სიტ-
ყეებს, რომ სტექს მთელი თეატრი, ხან კი ისე აგ-
რამელებენ, რომ დაეყვინთება ხოლმე არამც თუ მა-
რტო კრებას, თვით ელექტრონსაც კი, და გამოფ-
ხიზლდება მაშინ, როცა ორატორნი ვადედენ მა-
ღალ ნოტებზე. ერთხელ ისე ჩაეძინა ელექტრონს,
რომ ჩაქრა კიდევ, გამეფდა სიბნელე, შეიქნა ჩურ-
ჩული, მოისმა მანდილოსნების შეწუხებული ხმა..

ახალგაზდა ქართველი

(შემდეგი იქნება)

ორიოდ აგელომერაციული ელემენტი სახარებაში

(ბ-ნ ხანაშვილის წერილის გამო)



აუბრაუნდეთ ისევე ბ-ნ ხანაშვილის შენი-
შენებს:

„V, 16 „წინაშე კაცთა“. რა ბრუნეა
კაცთა? ამ ფორმით იხმარება ნათესაობითი, მიცე-
მითი და სხვა ბრუნეები, მათე V, 24. აგვისნის ამ

საკითხს: „დაუტყვე იგი წინაშე საკურთხეველსა მას“. მამასადამე თანდებული წინაშე თხოულობს მიცემით ბრუნვას და ამასთანავე იგი წინ უძღვის მისგან დამოკიდებულ სიტყვას. ახლა არ შეიძლება ითქვას წინაშე მამასა, უნდა ითქვას წინაშე მამისა ანუ მამს წინაშე, ე. ი.: თუ წინაშე მიუძღვის (? მოუძღვის) სიტყვას, იგი თხოულობს ნათესაობით ბრუნვას და თუ უკან მიზღვეს (მიუძღვის), მაშინ იგი

ნაცულად ძველი სამწიგნობრო სიტყვისა „წინაშე“ მართავს მიცემით ბრუნვას*.)

ბ-ნმა ხახანაშვილმა ძალიან კარგათ იცის, რომ ახლა სასაუბრო ენაში ეხმარობთ სიტყვას „წინ“, მაშასადამე რა საჭირო იყო არ არსებული სწორ-თქმის დადგენა შესახებ ვითომც ორგვარად ხმარები-სა ახლა სიტყვისა „წინაშე“?

„წინაშე“-ს ახლა რომ ეხმარობდეთ, ხომ თითონ ბ-ნი ხახანაშვილიც ორ სტრიქონ ზევით იტყუა-და: წინაშე უძღვის და არა—წინ უძღვის, როგორც დაუწერია.

ავიღოთ ორიოდ მაგალითი:

1) დედას წინ დაუქუქეს შვილი. 2) დედას წინ დადგა შვილი. მხესა წინ აუყვანა ღრუბელი. მხესა წინ გაზდაიძაღა ღრუბელი.

გამოტრავთ ყველგან სიტყვა „წინ“.

1) დედას დაუქუქეს შვილი. 2) დედას ადგა შვილი. მხესა აუყვანა ღრუბელი. მხესა გაზდაიძაღა ღრუბელი.

ამ სიტყვის გამოტრავებით, როგორცა ეხედეთ, ორს პირველ წინადადებას აზრი არ ეყარება, ხოლო ორ დანარჩენს წინადადებაში კი უაზრობა იხადება.

ამ გვირგვინს მოვლენა აიხსნება იმითი, რომ პირველ მაგალითებში სიტყვა „წინ“ იხმარება როგორც ადვალის მარეწმელი ზმნის-ზედა, მეორე მაგალითებში კი როგორც თანდებული. პირველ შემთხვევაში იგი არა თხოულობს არავითარს ბრუნვას და ამისა გამო მის გამოტრავებას უაზრობას არ იწყებს წინადადებაში, სოლო მეორე შემთხვევაში იგი თხოულობს მიცემითი ბრუნვას და, რასაკერაველია, როდესაც გამოტრავებთ წინადადებიდან იმ სატყვას, რომლისგანაც გამოწვეულია ეს ბრუნვა, მაშინ მთელს წინადადებაში უაზრობა იხადება.

სწორედ ასეთე მოიყვანთ მაგალითებს სახარებიდან, საცა იხმარება „წინაშე“ ნაცულად ეხლანდელისა „წინ“:

I მათე XI, 10.

მაჲ ესე რა წარეველირა ანგელოსი ჩემი წინაშე ზირსა შენსა, რომელმან განმხადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა (მალაქ. 3, 1)

* ეოკლედი ციტატი, მოკვანდი ჩვენ მიერ ბ-ნ ხახანაშვილის შენიშვნებიდან. სიტყვა-სიტყვითა გვაქვს ამოწერილი „ივერიდის“ № 65 — 1894 წ. ბ-ნ ხახანაშვილის შენიშვნებს აწერია თაჲში „მოკარე წერილი“, თუმიც უნდოდა არ იწყოდა „ივერისის“ რედაქციას აღენიშნა თუ პირველი წერილი რედაქცია იყო დასტავილი,

ავტ.

მათე V, 16.

ეგრეთ ბრწყინევენ ნათელი თქვენი წინაშე ცოცხალად...

II მ. VII, 6.

ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა (წინაშე) ღორთა..

მ. V, 24.

დაუტყვე შესწირავი იგი (წინაშე) საკურთხეველსა მას...

აქაც, სახარების ენაში, წინაშე იხმარება ხან როგორც თანდებული, ხანაც როგორც ადვალის მარეწმელი ზმნის ზედა. პირველ შემთხვევაში წინაშე აღენიშნეთ სხვა შრიფტით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ჩავსეთ კვეთში.

აი კიდევ შესამე ადვალი, სადაც ურთოდ-ერთი სურვილი ბ-ნ ხახანაშვილისა იმაშია გინდა თუ არა, თავს მთავიროს ძველსა და ახალს ენას სხვა-და-სხვა არ საჭირო სწორ-თქმა:

„მათე II, 3:

შესძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მისთანა. თანდებული თან ნახარია ნათესაობით ს ბრუნვით, აწ კი იგი თხოულობს მიცემითს ბრუნვას: მასთანა, ძმასთანა, კლდესთანა და ქვსთანა“.

ამ ოთხ სტრიქონში რამდენიმე შეცდომაა: პირველი ეს სახარების ენაში „თან“-ი არ იხმარება ნათესაობითის ბრუნვით, არამედ სრული ელემენტთანა. ეს საზოგადო მოვლენაა ძველს მწერლობაში, ხოლო ახლანდელმა სასაუბრო ენამ საჭიროდ დინაა ორ გვარი ხმარება ამ თანდებულისა: სრულ ელემენტად „თან“ ნათესაობითის ბრუნვით და შემოკლებულ ელემენტად „თან“ მიცემითის ბრუნვით.

ავიღოთ მაგალითები:

I შენსთანა ვინ იქნება, II ძმასთანა მიველა, დედისთანა რა იქნება ვეყვანა, III მასთანა მინდოდა მომიღებო, IV მასთანა ვინ იქნება, V ძალესთანა გავგზავნე მტერი.

პირველ რიგ მაგალითებიდან გაციებს ბ-ნი ხახანაშვილი, რომ თანდებული თანა ახლაც იხმარება ნათესაობითის ბრუნვით და არა მარტო მიცემითის ბრუნვით, როგორცა ბრძანებს იგი. მეორე რიგ მაგალითებიდან კი ეტყობილობთ, რომ სრულ თანდებული თანა მოკლებდა თანდებულად „თან“ და მარტო ამ შემთხვევაში იგი თხოულობს მიცემითი ბრუნვას ამიტომ აღსანიშნავია, რომ ყველა მაგალითები ბ-ნ ხახანაშვილის მიერ მოყვანილი (მასთანა, ძმასთანა, კლდესთანა, კვსთანა) მრუდელ გამოთქმული იქნება.

ამ მოყვანილის მაგალითებში, რომ დატოვოთ

პირველი ნაწილი სიტყვებისა უტყვევლად (მას, ძმას, კლდეს, კუხს), მაშინ თანდებულო თანა უნდა შევა-
მოკლოთ თანდებულად „თან“ და მარტო ამ შემ-
თხვევაში გვექმნება სწორედ გამოთქმული ფორმე-
ბი: მასთან, ძმასთან, კლდესთან, კუხთან. ახლა თუ
მოინდომოთ დატოვება თანდებულისა თანა უტყვე-
ლად ბ-ნი ხახანაშვილის მაგალითებში, მაშინ სიტყვე-
ბის პირველი ნაწილები იცვლება ასე: მის, ძმის
კლდის, კუხის. ამ შემთხვევაში ფორმები მიიღებენ
შემდეგ სახეს: მისთანა, ძმისთანა, კლდისთანა, კუ-
ხისთანა... სახარების ენაში საზოგადოდ ყველგან იმა-
რება სრული თანდებული „თანა“ ნათესაობითი
ბრუნვით, თუმცა მოაზარება იმავე სახარებაში

ისეთი ადგილები საცა თანდებული „თანა“ თითქო
თხოულობდეს მიკემითი ბრუნვას: იოანე III, 26
რომელი იგი იყო შენთანა წიაღ — იორდანესა...
„შენთანა“ ამ შემთხვევაში ხმარებულია „შენ(ი)თანა“
დან შემოკლებით.

ახლანდელ სასაუბრო ენაშიაც იხმარება იმ
გვარად გამოთქმული სიტყვები თანდებულოთ თან,
საცა პირველი შეხედვით ძნელი გამოსაცნობია ხო-
ლმე, თუ რა ბრუნვაში არიან ნახმარნი: ბიკთან, კაცთან.
ქმართან, ბერთან და სხვანი...

კ. ლაღაშვილი

(შემადგო იქნება)

მიტოვესული

(სურათი სოღერის დროაღწს)



ხალშენს თავის დღეში ხოღერა არა ყოფი-
ლა და მტკარებნი წელსაც ძრიელ არხე-
ნად იყენ; მაშინ, როდესაც მთელი საქარ-
თველო შიშისაგან შეძრწუნებული ფაცა-ფუცო
რესტა, ჰგედა, ხეცტა თავის ოჯახის უსუფთაობას,
ახალშენს ყურზე ეძინა და როცა ეღვიდა მზიარუ-
ლად მღეროდა:

„ყანწით ესეამთ ღვინოს,
შენ სადღეგრძელოს!
და გაუმარჯოს
ჩიენს საქართველას!..“

ახალშენი თუმცა ახლობით იხსენიება, მაგრამ
შეიძლება ძველი და ძველის-ძველი დასახლებული სო-
ფელია, გარშემო მრავალ სოფლებს შემორტყმული,
დღე მავზის მქონე ახალშენს ქალაქის ალაგი უქირავს.
ამ მომენტებულად უფრო ეპაჩი ხალხი ცხოვრებს,
აღზე-მიცემობა გახმირებულია და აქაურ დუქან-ბა-
ზარში აუარებელი ხალხი ტრიალებს, ეპკრობს, მო-
ნატანს ჰყიდის.

ერთადერთი ვიწრო, ოღროზილორე ქუჩაში,
რომლის გარშემო შემომწყობიებულია ოცდაათამ-
დე დუქანი (ამათში მომეტებული ნაწილი რასაკერ-
ველია, სამიკიტნა), წლითა-წლიადე გროვდება ყო-
ველგვარი უწმინდურება; საკლავის სისხლი, საქონ-
ლის ღვინი, დუქნების გამოხაგავი, ქარის მოტანილი
ჩქტი და ყველა ეს შირად ირწყვის და ინამება ქუ-

ქიანი ნარცხებით და შეერივად ზედება ხოღ-
ერის ბაცილების გასამრავლებლად.

სადგური სახლები სოფელში ხომ შიშის ზარს დასცემს
დამკირებელს. სახლი სახლზე მიდგმული, ერთის
ბანი მეორესთვის კარმიდამოთ არის გადაქცეული.
ამათში ბევრი მოაზარება ღამაში ბალკონებით,
წითლის კრამიტით დახურული, სხვა-და-სხვა ფერად
შეღებილი კარ-ფანჯრით და არც ერთი არ არის
შემკული მწვანით, არც ერთს არა აქვს ჰერის მო-
სამბრუნებელი ეზო, ფეხის-ალაგი, ქუქიანი წყლის
ჯირგანა, ნაგვის მოსაგროვებელი კუთხე. ბევრს ლა-
მავ ბალკონიან სახლ ქვეშ თველა აქვს მ თავსებუ-
ლი და ის ჭამის გადუყრელი ფენი სულს უხუთავს
ახლო გამეღვლს: ყველა ეს უწესოება ისე შეზღი-
ლი აქვს ახალშენის მტკარებს, ისე შეფერებული
აქეთ იმათ ფილტვებს და საყრასველს, რომ თავის
დღეში ფიქრადე არავის მოსვლია სხვა ნიარად მო-
ეწყო თავის ბეჩაფი ცხოვრება; მეზობელი, მეზობელს
სრული გულის სიწრფელით აყრის თავის ოჯახის
უსუფთაობას და თითონაც ვასაოცარ მოთმინებით
იტანს მეზობლისაგან თავზე ღაფის დასმას.

მაგრამ ნუ კი გგონიათ, რომ მთელი ახალშენი
იყოს ასეთი ბინძური, ვიწრო და თავ-ლაფ-დასხმუ-
ლი; ასეთია მხოლოდ საგაქრო საზრიელი ახალშე-
ნისა რაც შეეხება მხოლოდ მის გარშემოს უნდა
მოგახსენოთ, რომ სწორედ სამოთხეა: მას გვერდით
ჩამოურბის წყალ მრავალი და ხმა მაღალი, შეენი-
ერი მდინარე და სიკაცხლით აესებს არე-მარეს.
სოფლის გარშემო, ეენახებს შუა, გაფანტულია მრავ-
ალი კვლუკათ ნაგები ეტაყებიანი სახლები, პატარ-
პატარა ღამაში „ღაჩები“ და ამისათვის ზაფხულა-

ბით მრავალი ხალხი მოდის აქაურ დიდროვან კაკლებს ჩრდილოებში საყრილებლად.

როგორც სტუმართ-მოყვარეობას შეეფერება (ანუ „ღაწიკებს“ მოყვარეობას) ახალშენლები, როგორც ვაჭარნი, ისე თავადნი ცდილობენ სახფხულათ მოსულნი ამხიარულონ, დრო სასიამოვნოთ გაატარებინონ, რომ შემდეგისთვის კიდევ უფრო მოამატებულო ხალხი მიიზიდონ.

1892 წელს ზაფხულსაც, როგორც კვლავ შეუწყვეტელი „აქერები“ წარმოადგენენ, „პიკნიკები“ იმართებოდა. ყველანი დამშვიდებით შეცქეროდნენ, ნადიმობდნენ, ცეკვამდნენ, სიარობდნენ და ხოლერის მოახლოვებას ყურსაც არავენ ათხოვებდა. არ გვინახავს და არც ენახეთო* დაჯინებით გაიძახოდნენ ახალშენლები.

მკათათვე საშინელი გოლეიანი იყო. სიციხისაგან, ამ მუდამ გრილ ჰაეიან სოფელშიაც, სული უგუბდებოდა ხალხსა, საღამოებითაც კი არ იძრო და ჩვეულებრივი წიავი. ერთ ამგვარ სულის შემხუთავ დაწოლეულ საღამოს, როდესაც მთელი ახალშენის მცხოვრებნი ერთად იყვენ შეკრებილნი და წარმოდგენას უცქეროდნენ, უცებ ხმა გავარდა: თავდიდანთ ნინო ხოლერისაგან შეღონებულაო. საშინელმა შიშმა მოიტყა მთელი საზოგადოება: მხიარული, მოციინარი, მოლეკურე უცებ შედგა და მომაკვდავი ღუმილი ჩამოვარდა. რა ეწინათ? რით უშველოთ თავს? ყველას სახზე ეს კითხვა ეწერა და პასუხი კი არასით იყო, ნუგეშის მცემელი სიტყვა, მოაზრებული რჩევა, გზის გამრკვევი გმირი არავენ აღმოჩნდა და მთელი საზოგადოება დამფრთხალი ცხერის ფარასავით გაიფანტა.

ამისთანა ეიწროდ დასახლებულ ქუჩკიან სოფლებში, ხოლერამ ფრთა გაიშალა და საოცარ სისწრაფით მოეღო მცხოვრებთ, ვაძლიერდა და მრავალი იმსხერგალა. არ არჩებდა არც თავადს, არც გლეხს, არც ბებერს და არც ყმაწვილს. ხალხი დარწმუნდა, რომ ხოლერა არ ხუმრობს და ახალშენს შემეფსრას უპირობს და ვასაქცევედ გავმზავდა. იორი დღის განმავლობაში მთელი სოფელი ააყარა: დუქან-ბაზარი დიკტა, ვაჭრობა, მისელა-მოსელა შეწყდა. შეუწყვეტელი მუშაობდნენ მხოლოდ ახალშენელი „ფაიტონები“, რომელნიც ვერ აზდიოდნენ, დაჩათ* მოსული ხალხის სტანკაში ზიდვას.

თავად-აზნაურობა მათში ვიზიზნა და სომოზა ეენახებში. მთელ სოფელიც აღმიაჩანს ნატამალი არსად ჩანდა. ყველა კარი კლიტით იყო დაკეტილი და აქა-იქ თუ ვაგოვანებდი საშინელ კენესას ღეთის ანაბარად მიტოვებულის მომაკვდავისას.

ერთ მიყრუებულ კუთხეში, მრავალ ქიხებში საშინელ უწმინდურ და ეიწრო უბანში იდგა ერთკაიანი, მრავლის ბალოკონებით და კიხებით შეკურეილი ქეითკირის სახლი; ამ სახლის პატრონი თავადი ლუარსაბ დომხალაძე ოდესღაც სამხედრო სამსახურში იყო და ახლა „ატსტავიკაში“ სიამაყით ატარებდა წმ. გიორგის ჯვარს, თავის ვახუწებულ და გულზე გაღვილ „მუნდინზე“. ამ ეს ჯვარი მივიღებტორანგობა, —მედიდურად იტყვად ხოლმე ლუარსაბი უირობის ომში, მივიღებ მისთვის რომ ჩემს ვაჯკობით დავიფარე ჩემი გენერალი და მავნე მოსული ტყეია ჩემ უბედურ გოგრას ვაფუტარე“. რამდენად მართალი იყო გოგრაში ტყეის ვატარება ნამდვილათ არავენ იცის, ეს კი ნამდვილია, რომ ლუარსაბს გოგრა ყოველთვის უტყუოდა ტყეის თუ უყვიობის მოწყალებით და იმის გონების ხელმოკლეობას უტყუებდა ამტკიცებდა.

დომხალაძემ სამხედრო სამსახურიდან რუსეთში ვადმოიტანა „გიორგის ჯვარი“ ვარდა ორი ათასი თუმანი ფული, ვადმოიყვანა ფუნწული პარაზა გოგრა და ორი წყვილი კარგი ჯინშის პატარა ხუტუქი ძალიო.

ორი ათასით ეს ვასაოცარი ხუთ-ათასიანი და ათ-ბალოკონიანი სახლი აიშენა და პარაზას დახმარებით ორი წყვილი ძალი ორჯერ-ათ წყვილათ აქცია და ეს ფარა ძალისა იყო სამუდამო საწარუნელი ლუარსაბისა, იმის დროების ვამატარებელი, ვამამხიარულებელი ზ საქმეც, დილ, საქმეც: ლუარსაბი ყოველ დღითთ ასწავლიდა ამთ სიარულს, თამაშობას, საუდათობივით ჩამოაშყრივებდა ღიდ ზალაში და ხმა მალა, „უკამანდებდა“: „параша параша!“ ამ ფარის შეწახვის ადრამებდა მთელ თავის პენსიას. ამ ფარასთვის ჰვიდდა და აგერავებდა შვენიერ მამულს.

ლუარსაბის გულ-მტკიენელობამ ამ ხუტუქითხებების შესახებ იქამდის მიაღწია, რომ ერთხელ სამაზრო ქალაქიდან ექიმიც მიიწვია, ავთ ვამზარბიტრეზორკასთვის საწამლებლად.

პირველში, როდესაც ახალშენში „ღაწიკობა“ ჩამოვარდა, ლუარსაბის სახლშიც დადგა ორის ზაფხულით ერთი რუსის საბოლბა, მგვრამ შემდეგში კი, როდესაც ლუარსაბმა ეზო ნაჭერ-ნაჭერთ ვაჰვიდა და მყიდველი გლეხები თითქმის სულის კიხეში ჩაიყვანა, კარის ბალი ვააოხრა და ჩალუარბის ცხენების სადგურად ვაბადა, ზედაც აღარავის შეუშეღავს. წრეულ ზაფხულს, როგორც ბევრჯელ სავაწმებში, ღიდი, გრძელი, სხვილის ასოებით დაწერილი ღალიდი: „საზლი იძლევა ქირით“, ხელ უხლებელი გედა გვერდზე მოგრებილი, ოდესღაც პირისფრად შეღებულ თანჯარაზე.

მართალია, მდგომარეობა შორს უელიდენ ლუარსაბის სახუროთ-მოძღვრო მანქანებს, მაგრამ მასში მანიკ მრავალი მცხოვრები იყო მუდამ ყავს. რადესაც უნდა გავგელოთ, მიახლოდებოდით ფეხებ-ჩამტვრულ კიბის ამ სახლისას, ყოველთვის მოგვეგებებოდათ დიდის ალერსით, (თუ არ მოეწონებოდით, მისისანებიც), სხვა-და-სხვა ფერის და სხვა-და-სხვა სიღრმის ლეკვთა გუნდი. ამათი კავკევი, ყვევა, წმუკუნი, ღრუნა, ბუზღუნა ხმაურობას არ აკლებდა ყოველთვის ძილად მივარდნილ პატრონებთან სახლსა. მისი ლუარსაბს ძრიელ უყვარდა ძილი, უყვარდა ძილი მის თანამეცხედრე პარასასაც და ლუარსაბის ღვდა ნენესაც; ძილ მოკლებული არ იყო მათი ერთად ერთი მოსამსახურე ლოთუბაში იაგორაც, რომელიც თავის თანამდებობის ასრულებას შემდეგ, (სადილს უკეთებდა ბატონებს და ძაღლებს), რიგინად გაიქცენებოდა ხოლმე სახლის პირდაპირ მდებარე ლუქანში და თუ მოახერხებდა გავაქვრას შემდეგ სამზარეულოში მოთრევის, ხომ დაკარგი და თუ არა, ქუჩაშიაც არხინად განისვენებდა ხოლმე მისი გვამი.

ამ ძილად მივარდნილ ოჯახობამდინაც მიღწეა საერთო შიშმა ხოლგის გავრცელების შესახებ. ეს უკუთხეული ოჯახობაც დაფთხა, გამოფხოზდა და თავის ძვირფასი სიცოცხლის დასაცედად, არა ჩვეულებრივის სიმარტლი შეუღდა სამზადის მთაში გასაქცევათ.

ლუარსაბი გულ გაღვილი, მარტო თეთრეულის-ამარას, წითელის ფოსტლებით აჩქარებით აღიღა-ჩაღვიდა თავის უთვალავ კბუზე და თითქმის არც კი გრძობდა საშინელ ქაშინს, რომელსაც მშველლის საბერეელივით გაჰქონდა ფშუტური და ლუარსაბის განიერი გულ-მკერდი ზღვის ტალღებით აჰქონდა და ჩამოჰქონდა.

პარაშა, თმებგაწვეწილი, თეთრი კოვითი, უჭულკოთ, მალი მალ მიზობდა პირდაპირ ლუქანში და ეზიდებოდა სამგზავროდ ათასნაირ სავაჭროს: ჩაის, შაქარს, ერბოს, სპონს და სხ. იაგორა საჩქაროდ აშიშხინებდა მომწივრებს, ავსებდა ტიკებს, პატარა ფინიებს ჩვეულებრივზე მომეტებულად გაუდიოდათ წყაუწყავი, ყვევა, ყბულიც: ისეინ გრძობდენ, რომ სახლის პატრონები აყრას აპირებდენ და თავისებურად ლეღავდენ, მოძრაობდენ, შიშში იყვენ, რომ ჩვეულებრივი მოსვენებული ცხოვრება არ შერყევდათ. უმოძრაოდ იყო მხოლოდ ნენე, ლუარსაბის ღვდა; ეს თავის დაბნეულ ქუქქში გახვეული, (ნენეს სისხლს ზამთარ-ზაფხულ ერთგვარი ტემპერატურა ჰქონდა), მოკუნტული იჯდა ტახტის ბოლოს და საშინლად გმინავდა: „ღმერთო, წმინდა გი-

ორგი, მაცხოვარო, შეიბრალებ ჩემი საცოდავი პირმშო ლუარსაბ, ნუ აჩენებ იმის ღვდას მის სიცილილს, ნუ მოასწრებ მშობელს თავის სანატრილის უბედურებას“. ნენე ხუთი წელიწადი კუტით არის, ამ ტახტის კუნტულს არ მოშორებია, აქვე გვერდით უღვეს თაქა-ბალიში, და ღლე ლამიდან ამის ცხოვრებაში მხოლოდ იმით განიჩრევა, რომ ღლე ზის და ღამე წევს.

ნენე აჩქარებს ყველას, ხელს უმართავს, დარბევბას აძლევს, რაგორ მოიქცენ მთაში, რა წაიღონ, რა დაიხურონ, რა ჰამონ და თავის თავზე კი სრულიად არ ფიქრობს; ეს ისეა მილურსმული თავის კუთხესთან, რომ ფიქრადაც არ მოდის, რომ წესადმდებელია ესეც აიყვანონ და წაიყვანონ სახსნელ ალაგას და საშინელის სენის მსხვერპლად არ დასტოვონ.

ნენე არ ფიქრობს ამას და არც ფიქრობს მისი პირმშო სამოც წელიწადს მიხწეული მათორი ლუარსაბი: არ ფიქრობს, რასაკვირველია, პარაშაც, რომელიც განუწყვეტლივ „противная русишка“-ს უწოდებს თავის მეგობრის მშობელს და ხანდახან მუჯღუგუნებსაც არ იშურებს. პირ-იქით უხარია კიდევ, რომ რამდენიმე ხნით ნენეს საყვედურს ევლარ გაიგონებს: „ნუ სვამ, შეილო, ნუ სვამ, დედაკაცს ლოთობა არ შეფერის! აბა, მოვრალი ღვდაკაცი რაღა აღამიანა? — ქვეანა? მყრალ ძაღლსა ჰავსს!, პარაშას ძაღლთან შედარება არა სწყინდა, მხოლოდ ძაღლის ქეციანად და მყრალად ხსენება ნენესაგან ამას საშინლათ აკაპასებდა: „შენ თითონ კეციანო, კეციანო და არა ჩემი მღწაღლო! შენ თითონ, თითონ კეციანო მკრლო“.

გვ. გაბაშვილისა

(შემდეგი იუნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განხილავანი ქალაქის გამეგობას

მსაჭირმთებ სამი სახლი პირველი დწყებითი სკოლებისათვის, რომლებსაც აპირობს ახლად გახსნას: მუხრანთან ქუჩაში, მალაკნების უბანში და ხარეუხში. ყველა სახლში უნდა იყოს ორი მიზნული დარბაზი (ხალა) სამი შუათანა ოთახი, სამზარეული, შეშის დასაწყობი და დიდი ეზო.

სახლის პატრონებს, ვისაც სურთ ამ გვარი

შენობა მიაკრაონ სკოლას, ეთხოვეთ ინებონ და აცნობონ ქალაქის გამგეობას ამა წლის პირველ მარიაობისთვემდის.

(3—1)

დაპუბლიკური საზოგადოება

ი ა კ ო რ ი (დუხა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,060 მანეთი აქვს, გარდა სულაღის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებ-

ბითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაებისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვითმდინარით და ხმელეთით წასალ-წაშლისალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განუზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მმართველისა და მყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუზნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის აღუქსანდრე პეტრეს ძის ზაფრევისაგან, რომელიც დგას ეკლიამინოვის ქუჩაზე № 2.

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თანასამდის იმავე პროგრამით რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა. გაზეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შვიდი მან., ხოლო გაგზავნით რვა მან. ნახევარის წლის გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაურა, გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3 მან. თითო ნომერი 20 კაპ.

ხელის მკურნა მიიღება

ტფილისში არსებულნიველ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, *წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში* ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „კვალის“ რედაქციას Тифლისь Редакция „Квали“, (Большая Водовозная, № 22, домъ Айвазова.

ქალაქ გარეთ:—ქუთაისში: სხვათა შორის ე. ბეჟანიშვილისა და ხეთერელის წიგნის მაღაზიებში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ქურნალ-გაზეთის სააგენტოში.—პაქოში: ესტატე ბორისისძე ამამუყელთან.—გორში: ზაქარია დავიდიანთან.—ყვირილასში: თ. ხუსკივაძესთან, ფოთში: სოფრომ მგალობლოშვილთან.—სასესენაკში და ოსურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—სანსერკში: ყარაშან ჩხეიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიურ „კვალის“ ხელის-მომწერლებს 1894 დაურიგდებთ საჩუქრად მხატვრობა „საქართველოს დიდება“ სამრევლო და სასოფლო სკოლის მასწავლებლებს და სახალხო წიგნის საკითხავებს დაეთიზებთ იმაველი“ 7 მ.